დამტკიცებულია სსიპ–ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის
04 აპრილის №04-01/43 დადგენილებით

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისიის, განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და გეგმების შესრულების მონიტორინგის წესი

მუხლი 1.ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე წესი ადგენს სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში-ხელოვნების უნივერსიტეტი) მისიის, განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და გეგმების შესრულების მონიტორინგის პროცედურებს. **(27.03.2019, №04-01/70)**

2. ხელოვნების უნივერსიტეტის მისია უნდა განსაზღვრავდეს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში.

3. ხელოვნების უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა წარმოადგენს სახელმძღვანელო-სამართლებრივ დოკუმენტს, რომელშიც შესაბამისი ვადებით განსაზღვრულია უნივერსიტეტის უახლოესი შვიდი და სამი წლის განვითარების მიზნები, მიღწევის გზები და მოსალოდნელი შედეგები. უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მიმართულებები უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების მისიას, ეფუძნებოდეს უნივერსიტეტის მიზნებს და ასახავდეს მათი მიღწევის საშუალებებს.

მუხლი 2. მისიის, განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია

1. მისიის, განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტებს შეიმუშავებს რექტორის ბრძანებით შექმნილი სარედაქციო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან წამყვანი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, სტუდენტები და სხვა.

2. დასაქმების სფეროს პოზიციის გაზიარების მიზნით პროექტების შემუშავებისას კონსულტანტის სტატუსით შესაძლებელია მოწვეულ იქნან და სარედაქციო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ დამსაქმებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, საზოგადოების სხვა დაინტერესებულმა პირებმა და კურსდამთავრებულებმა, ან შესაძლებელია პროექტების განხილვა მოეწყოს ზემოაღნიშნული სფეროს წარმომადგენლებთან შეხვედრებისას.

3. ხელოვნების უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები უნდა მოიცავდეს უნივერსიტეტის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ ყველა ასპექტს, მათ შორის, ინსტიტუციურ განვითარებას, ხარისხის უზრუნველყოფას, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვას, კვლევებს, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, სტუდენტთა მომსახურების სფეროს, ინფრასტრუქტურასა და სხვა.

4. სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში განსაზღვრული განვითარების ძირითადი პრიორიტეტები და მიზნები უნდა გამომდინარეობდეს ხელოვნების უნივერსიტეტის არსებული მდგომარეობიდან, აგრძელებდეს ჩამოყალიბებულ ტრადიციებს და

ითვალისწინებდეს ხელოვნების და მომიჯნავე სფეროებში სხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმატებულ გამოცდილებას, ქვეყანაში და მსოფლიოში არსებულ თანამედროვე ტენდენციებს.

5. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მიზნები და ამოცანები ორიენტირებული უნდა იყოს სტუდენტების, ხელოვნების და მომიჯნავე სფეროებში დასაქმებული პერსონალის, საზოგადოების სხვა დაინტერესებული პირების უმაღლესი თუ პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მიიღონ მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო და საინფორმაციო მომსახურება.

6. სარედაქციო ჯგუფი ხელოვნების უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით შეაგროვებს მისიის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ჩამოყალიბებისათვის საჭირო ინფორმაციას, მოახდენს მის ანალიზს, განსაზღვრავს უნივერსიტეტის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ჩამოაყალიბებს სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, გეგმის ფორმირებისას გამოიყენებს ამ სფეროში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და განსაზღვრავს გეგმის შესრულების მაჩვენებლებს და სამიზნე ნიშნულებს.

7. მისიის, განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების განსახილველად აკადემიური საბჭოს სხდომაზე წარდგენამდე, პროექტების გაცნობისა და განხილვის პროცესში ფართო საზოგადოების ჩართვის მიზნით სარედაქციო ჯგუფი ვალდებულია, პროექტები დაუგზავნოს ხელოვნების უნივერსიტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, სტუდენტებს.

8. მისიის, განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტებს ხელოვნების უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგენს რექტორი.

მუხლი 3. მისიის, განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცება

1. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია თავისი შენიშვნებით დაუბრუნოს პროექტები სარედაქციო ჯგუფს, რომელიც ვალდებულია არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში არგუმენტირებული პასუხით ხელახლა წარადგინოს პროექტები განსახილველად აკადემიური საბჭოს მორიგ (ან რიგგარეშე) სხდომაზე. აღნიშნული პროცედურის გავლის შემდეგ პროექტები აღარ ექვემდებარება დაბრუნებას, თუმცა აკადემიური საბჭო უფლებამოსილია, სამუშაო ჯგუფთან შეთანხმების გარეშე შეიტანოს ცვლილებები წარმოდგენილ პროექტებში და შეტანილი ცვლილებებით დააყენოს კენჭისყრაზე.

2. აკადემიური საბჭოს 2/3-ის მიერ მოწონებული მისია, განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები დამტკიცებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს წარმომადგენლობითი საბჭოს სიითი შემადგენლობის ასევე 2/3.

3. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ორჯერ არ მიღების შემთხვევაში, პროექტები (ან ის პროექტი, რომელიც არ დამტკიცდა) დაუბრუნდება სარედაქციო ჯგუფს ახალი პროექტის/პროექტების მოსამზადებლად.

მუხლი 4. განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების პერიოდული მონიტორინგი

1. განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების რეგულარულ

მონიტორინგს, კალენდარული წლის განმავლობაში არანაკლებ ერთხელ ახორციელებს მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც კალენდარული წლის დაწყებიდან არაუგვიანეს სამი თვის ვადაში ან საჭიროებისამებრ სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე აკადემიურ საბჭოს წარუდგენს შესაბამის დასკვნას. **(14.01.2019, №04-01/44; 27.03.2019, №04-01/70; 29.12.2020, №04-01/22)**

1[1].მონიტონგის ჯგუფი იქმნება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. **(14.01.2019, №04-01/44; 27.03.2019, №04-01/70)**

2. აკადემიური საბჭო წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე ღებულობს გადაწყვეტილებას სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების პროცესის დადებითად ან უარყოფითად შეფასების შესახებ. **(27.03.2019, №04-01/70)**

3. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების უარყოფითად შეფასების შემთხვევაში აკადემიური საბჭო განიხილავს გამოვლენილი ხარვეზების ხარისხს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

4. რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია შეისწავლის გამოვლენილი ხარვეზების წარმოშობის მიზეზებს და შედეგებს წარუდგენს აკადემიურ საბჭოს პრევენციული გადაწყვეტილების მისაღებად.